ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობა საქართველოში

თბილისი 2015

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი
თარგმანი: მარიამ გიგანი
პროექტის იურისტები/მონიტორები: თამარ ავალიანი
თამარ ლუკავა
ნესტან ლონდარიძე
პროექტის ჟურნალისტი: ნათია გოგოლაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

<u>მისამართი:</u>
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.

EMBASSY OF THE
REPUBLIC OF BULGARIA
TBILISI

ანგარიში მომზადდა ბულგარეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას, შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულება 5

შესავალი 5

პატიმართა მოპყრობა 6

გარე სამყაროსთან კონტაქტი 8

საცხოვრებელი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები 10

ჯანდაცვა 13

არასრულწლოვანი ქალი პატიმრები 18

სოციალურ-კულტურული საკითხები 19

უცხოელი პატიმრები 20

უმცირესობები 21

მეძუძური დედები და შვილიანი მსჯავრდებულები 21

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი სხვა პრობლემები 22

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულება 23

შესავალი 23

საცხოვრებელი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები 24

მოპყრობა 25

არასრულწლოვან პატიმართა განათლება 26

სოციალურ-კულტურული საკითხები 27

ჯანდაცვა 28

გარე სამყაროსთან კონტაქტი 29

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი სხვა პრობლემები 29

არასრულწლოვანი ბრალდებულები 31

პროექტის ფარგლებში გაწეული იურიდიული დახმარება 33

რეკომენდაციები 36

დანართი 39

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის - „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მდგომარეობის მონიტორინგი საქართველოში“ - შედეგებს. პროექტი მოიცავდა პერიოდს 2015 წლის 15 თებერვლიდან 15 აგვისტომდე. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქალთა და არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებებში არსებული პრობლემების გამოვლენა და მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მონიჭებული სპეციალური რწმუნებულების საფუძველზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის წარმომადგენლების მონაწილეობით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები ახორციელებდნენ გეგმიურ და არაგეგმიურ ვიზიტებს რუსთავის N5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თბილისის N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში. ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა სულ 14 ვიზიტი განახორციელეს, მათ შორის, 9 ვიზიტი N5 ქალთა დაწესებულებაში, 4 ვიზიტი - არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, 1 ვიზიტი - გლდანის №8 პენიტენციური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში.

ქალ და არასრულწლოვან პატიმრებს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები ესაუბრებოდნენ სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით მონიტორინგისათვის საინტერესო კონკრეტული საკითხებისა და პრობლემების გამოსავლენად. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემები შეფასდა საერთაშორისო და შიდაკანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებთან მიმართებით.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევდნენ ქალ და არასრულწლოვან პატიმრებს სხვადასხვა სახის უფლებადარღვევებთან დაკავშირებით [1] . ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტი ამზადებდა სტატიებს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების შესახებ[2].

მონიტორინგის შედეგად N5 ქალთა საპატიმროში გამოვლენილ მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს - სრული შემოწმების დამამცირებელი პროცედურა, ხანგრძლივი პაემნების არარსებობა, ჰიგიენური საშუალებების უკმარისობა, დაგვიანებული/არასათანადო მკურნალობა ქალი პატიმრებისათვის, უცხოელ ქალ

[1] ვრცლად იხ.: ქვეთავი „პროექტის ფარგლებში გაწეული იურიდიული დახმარება“.
[2] იხ.: დანართი „პროექტის ფარგლებში მომზადებული სტატიები“.

პატიმრებთან კომუნიკაციის პრობლემა, საკუთარი უფლებების შესახებ არასათანადო ინფორმაცია, სატელეფონო ჯიხურების/ბარათების გაუმართაობა და სხვ.

არასრულწლოვანთა დაწესებულებაში გამოვლენილი მნიშნელოვანი პრობლემებია - პრივილეგიები არასრულწლოვან პატიმრებს შორის, განმეორებითი დანაშაულის ხშირი შემთხვევები, გარკვეული კატეგორიის არასრულწლოვანი პატიმრების სოციალური იზოლაცია, არასაკმარისი რაოდენობით ფსიქოლოგები, დისტანციური სწავლების პროგრამების არარსებობა, ტრენინგების ჩატარების საჭიროება მასწავლებლებისათვის.

ქვემოთ წარმოდგენილ თავებში დეტალურად არის განხილული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემები.

დადებითი ტენდენციებიდან უნდა აღინიშნოს, რომ, ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების განცხადებით, დაწესებულებების შიგნით ადგილი არ აქვს ცემისა და წამების შემთხვევებს. თუმცა, ზოგიერთმა პატიმარმა მიუთითა დაკავების მომენტში ცემის ფაქტების შესახებ.

პოზიტიურ ტენდენციას წარმოადგენს მრავალფეროვანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებები ქალთა დაწესებულებაში და სახელოვნებო/სასწავლო პროგრამები არასრულწლოვანთა დაწესებულებაში. ასევე, მისასალმებელია ქალი პატიმრების დასაქმება N5 დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულება

შესავალი

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულება წარმოადგენს ერთადერთ ქალთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას საქართველოში[3]. 2015 წლის თებერვალში სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში განთავსებული იყო 272 სრულწლოვანი ქალი პატიმარი, მათ შორის, 52 ბრალდებული და 220 მსჯავრდებული, 6 ქალი ბავშვით და 6 მცირეწლოვანი ბავშვი. მონიტორინგის პერიოდში, 2015 წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით, სხვადასხვა დროს, დაწესებულებაში განთავსებული იყო 2 არასრულწლოვანი პატიმარი.

[3] ქალი პატიმრები ასევე იმყოფებიან ქუთაისის N2 და ბათუმის N3 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

პატიმართა მოპყრობა

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქალ პატიმართა სრული შემოწმების პროცედურა, რასაც ადგილი აქვს საპატიმროში ქალ პატიმართა მიღებისას, დაწესებულების დროებით დატოვების, დაბრუნების და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში [4]. სრული შემოწმების პროცედურას ითვალისწინებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანება, რომლის 34-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის პირადი შემოწმება შეიძლება იყოს სრული და არასრული. 34-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ***„სრული შემოწმებისას ხდება მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება. სრული შემოწმებისას მსჯავრდებული ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები“***[5].

N5 დაწესებულებაში ჩვენს მიერ გამოკითხული პატიმრები ადასტურებენ აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას საპატიმროში. მათი ინფორმაციით, გაშიშვლების პროცედურა არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი; არის შემთხვევები, როცა მათ სთხოვენ, გაშიშვლების შემდეგ გააკეთონ ბუქნები, რაც ახდენს საზიანო ფსიქოლოგიურ გავლენას ქალ პატიმრებზე.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით N5 დაწესებულებაში მოთავსებულმა ერთ-ერთმა პატიმარმა, პროფესიით იურისტმა ნ.ფ.-მ მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. პატიმარმა ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაწოდა კომიტეტისაგან მიღებული ოფიციალური პასუხი. 2014 წლის მაისში კომიტეტმა მას შემდეგნაირად უპასუხა:

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში თქვენს მიერ შემოტანილ #7595 განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ, პარლამენტმა მიიღო საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, (07-2/147, 31.12.13), რომელიც ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. აღნიშნულ კანონპროექტში არ არის ჩანაწერი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გაყვანა/შემოყვანისას მისი ე.წ. „სრული შემოწმებისა“ და მით უფრო შემოწმებისას

[4] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანება, ნაწილი 8, მუხლი 34; file:///C:/Users/B2/Desktop/kanonebi/brdzaneba%2097.pdf

[5] http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182884563.pdf

მსჯავრდებულთა პატივისა და ღირსების შემლახველ მდგომარეობაში ჩაყენების შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება შესაბამისი შუამდგომლობით გადავუგზავნეთ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს, განცხადებაში მითითებული ფაქტების შესწავლისა და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი რეაგირების მიზნით".

აღნიშნული წერილი წარმოაჩენს, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისათვის უცნობია სასჯელაღსრულების მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებით გათვალისწინებული სრული შემოწმების პროცედურის არსებობა. კომიტეტი აცხადებს, რომ პატიმრობის კოდექსში მსგავსი ჩანაწერი არ არის, მაგრამ უგულვებელყოფს ამ ჩანაწერის არსებობას N97 ბრძანებაში.

სრული შემოწმების პროცედურა ეწინააღმდეგება ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით დადგენილ სტანდარტებს (ე.წ. ბანგკოკის წესები)[6]. აღნიშნული დოკუმენტის მე-19 წესის თანახმად, ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. მე-20 წესის თანახმად კი, „შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიც არის სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა"[7].

აღნიშნული პრაქტიკის სასჯელაღსრულების #5 დაწესებულებაში არსებობისა და მისი გაუმართლებლობის შესახებ მიუთითებს ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში[8]. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, 2015 წლის 4 ივლისს, ტელეჟურნალისტებთან საუბრისას, უარყო ქალთა საპატიმროში სრული შემოწმების პრაქტიკის არსებობა[9]. მინისტრის აღნიშნული განცხადება არ ასახავს ქალთა საპატიმროში არსებულ რეალურ ვითარებას. აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც შეშფოთება გამოხატეს და მოუწოდეს მინისტრს, ანგარიშვალდებულობა გამოეჩინა პენიტენციალურ სისტემაში არსებული პრობლემების მიმართ [10]. აღსანიშნავია, რომ სრული შემოწმების პრაქტიკის არსებობას არ უარყოფს ქალთა საპატიმროს დირექტორი, რომელიც ადასტურებს, რომ სრულ შემოწმებას, მათ შორის

[6] http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182885782.pdf
[7] გვ. 94; http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182885781.pdf
[8] გვ. 178; http://ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf
[9] http://1tv.ge/ge/news/view/103052.html
[10] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18362&lang=geo

გაშიშვლებას, ითვალისწინებს სასჯელაღსრულების მინისტრის 97-ე ბრძანება [11]. საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბრისას მან ასევე დაადასტურა, რომ, ზოგ შემთხვევაში, სრული შემოწმებისას ქალები აკეთებენ ბუქნებს: „ეს არის ერთ-ერთი საშუალება იმისა, რომ შემოწმებულ იქნან ეს ქალბატონები, რათა თავიდან ავიცილოთ ის შემდგომი მოვლენები, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ არშემოწმებას ან არაჯეროვან შემოწმებას“[12]. ციხის დირექტორის განცხადებით, ბუქნები კეთდება ქალი პატიმრების ნებაყოფლობით და არ არის დამამცირებელი[13].

ურთიერთსაწინააღმდეგო იყო ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და ციხის დირექტორის მიერ გაკეთებული განცხადებები. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოფიციალური განცხადებით, „სრული შემოწმება უტარდებათ მხოლოდ იმ ბრალდებულებს და მსჯავრდებულებს, რომელთა მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნების ან ნივთების შეტანას ცდილობენ“ [14]. ციხის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოადგენდა სიმართლეს. მისი თქმით, ყველა მსჯავრდებული, რომელიც შემოდის დაწესებულებაში, ექვემდებარება სრული შემოწმების პროცედურას და ეს კანონით არის გათვალისწინებული. დირექტორის განცხადებით, იგივე წესი მოქმედებს ნებისმიერი მსჯავრდებულისათვის, დაწესებულების დატოვებისა და უკან დაბრუნების შემთხვევებში[15].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს:

- ***სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, აღმოფხვრას პატიმართა შემოწმების დამამცირებელი პრაქტიკა სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში;***
- ***მინისტრს - ცვლილებები შეიტანოს 97-ე ბრძანებაში და შეუსაბამოს იგი პატიმართა მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებს.***

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულ პატიმართა განცხადებით, საპატიმროში ადგილი არ აქვს ცემისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფაქტებს.

გარე სამყაროსთან კონტაქტი

2013 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული პატიმრობის კოდექსის გარდამავალი დებულების, 124[1] მუხლის თანახმად, „*ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულების,*

[11] http://1tv.ge/ge/news/view/103069.html
[12] http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1082&lang=geo
[13] *იგივე*
[14] 6:38 წმ. http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1082&lang=geo
[15] *იგივე*

პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში"[16].

საქართველოში წლების განმავლობაში პატიმარი ქალები იმყოფებიან დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, რადგანაც, მამაკაცი პატიმრების მსგავსად, ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით. ამის მიზეზად ხელისუფლების წარმომადგენლები არაოფიციალურად ასახელებენ ქალი პატიმრების დაორსულებისა და საპატიმროში შობადობის გაზრდის რისკს. ხოლო პატიმარი დედებისთვის და ბავშვებისთვის დღესდღეობით არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ხაგრძლივი პაემანი მამაკაცი პატიმრებისათვის გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით და ითვალისწინებს დაწესებულების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ოთახში არაუმეტეს 23 საათის განმავლობაში შეხვედრას კანონით განსაზღვრულ ოჯახის წევრებთან, მათ შორის, შვილთან, მეუღლესთან, მშობელთან, დასთან, ძმასთან და სხვ[17]. აღნიშნულ უფლებას ამჟამად მოკლებულნი არიან ქალი პატიმრები, რომელთა შეხვედრა ოჯახის წევრებთან გრძელდება არაუმეტეს 3 საათისა[18]. პრობლემას წარმოადგენს ასევე ის, რომ ასეთი შეხვედრის დროს არ არის დაცული კონფიდენციალურობა. კერძოდ, პაემნებისათვის განკუთვნილი კაბინების სივიწროვის გამო, ქალი პატიმრები ოჯახის წევრებს ხვდებიან კაბინების გასწვრივ არსებულ დერეფანში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი პრივატულობა, რადგანაც, პაემნის მიმდინარეობას აკვირდება დაწესებულების თანამშრომელი.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ქალი პატიმრების ხანგრძლივი პაემნების განსახორციელებლად, შესაბამისი ინფრაქტრუქტურის მოწყობის პროექტი უკვე მზად არის და სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. თუმცა, უწყებაში კონკრეტულ თარიღს ვერ ასახელებენ[19].

ბანგკოკის წესების თანახმად, ქალ პატიმრებს მამაკაც პატიმრებთან თანასწორ საფუძველზე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ოჯახური პაემნის უფლებით[20]. 26-ე წესის თანახმად, ქალი პატიმრების კონტაქტი მათ ოჯახებთან, მათ შორის, შვილებთან, მათი შვილების მეურვეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან უნდა წახალისდეს და ხელი შეეწყოს ყველა შესაძლო საშუალებით.

სამწუხაროა, რომ ამ დრომდე აღნიშნული უფლების უზრუნველყოფის მიზნით არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს

---

[16] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2150237#DOCUMENT:1;
[17] მუხლი 17²; https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612
[18] მუხლი 17³; https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612
[19] http://www.17mai.si/archives/38291
[20] წესი 27; http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf

საქართველოს მთავრობას დააჩქაროს ქალ პატიმართა ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები განხორციელება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას ქალი პატიმრებისათვის გარე სამყაროსთან კონტაქტის მხრივ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სატელეფონო ჯიხურები, რომლითაც ისინი სარგებლობენ, განთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების ეზოში, ღია ცის ქვეშ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა მრავალჯერ დააფიქსირეს შემთხვევები, როცა ქალ პატიმრებს სავალალო მდგომარეობაში უწევდათ ტელეფონზე საუბარი ძლიერი უამინდობის დროს. მსგავსი პირობები სახიფათოა ქალი პატიმრების ჯანმრთელობისათვის და ართმევს მათ კანონით მინიჭებული, სატელეფონო საუბრის უფლებით სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას[21].

ამას გარდა, აღნიშნული უფლებით სარგებლობას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ პატიმართა უმრავლესობის განცხადებით, №5 დაწესებულებაში ტელეფონი მნიშნელოვანი ხარვეზით მუშაობს. სასჯელაღსრულების მინისტრის №97 ბრძანების თანახმად, პატიმრებს უფლება აქვთ ერთი თვის განმავლობაში არაუმეტეს 3 სატელეფონო ზარი განახორციელონ საკუთარი ხარჯებით, მაგრამ, ხარვეზებისა და კავშირგაბმულობის სისტემის გაუმართაობის გამო, ხშირია შემთხვევები, როცა სატელეფონო კავშირი წყდება, რის გამოც, პატიმრებს ერთმევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ კანონით მინიჭებული ზარების რაოდენობით სარგებლობის უფლებით.

აღნიშნული პრობლემის არსებობა ადამიანის უფლებათა ცენტრთან დაადასტურა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, გოგი გახარიამ. 2015 წლის მაისში, მან ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს შეხვედრაზე განუცხადა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო გამოაცხადებს ახალ ტენდერს და ხელშეკრულებას გააფორმებს ახალ კომპანიასთან, რომელიც ხარისხიანად უზრუნველყოფს სატელეფონო კავშირით სარგებლობას პატიმრებისათვის. თუმცა, დღემდე აღნიშნული პრობლემა არ მოგვარებულა. ადამიანის უფლებათა ცენტრი ყურადღებით დააკვირდება მოვლენების განვითარებას აღნიშნული პრობლემის გარშემო და მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას სიახლეების შესახებ.

საცხოვრებელი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები

ქალი პატიმრებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ჰიგიენური საფენების უკმარისობა. ჩვენს მიერ გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობისაგან მიღებული ინფორმაციით, მათ დაწესებულების ადმინისტრაციისაგან არ მიეწოდებათ საკმარისი რაოდენობის ჰიგიენური საფენები. აღნიშნული პრობლემა საფრთხეს უქმნის ქალ პატიმართა ჯანმრთელობას.

[21] მუხლი 34; http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182884563.pdf

სანიტარული საფენების მიწოდების აუცილებლობას ხაზს უსვამს ბანგკოკის წესები. „ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს, მათ შორის, ქალ პატიმრებს უფასოდ უნდა მიეწოდოთ სანიტარული საფენები და რეგულარული წყალი, განსაკუთრებით, მზარეულობით დაკავებული, ორსული, მეძუძური და ციკლის მქონე ქალებისთვის"[22].

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულებს თვეში ერთი ცალი საპონი და სარეცხის ფხვნილი მიეწოდებათ. სასჯელაღსრულების N5 დაწესებულების ოფიციალური ინფორმაციით, „დაწესებულებაში მოთავსებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ერთჯერადად უზრუნველყოფილია შემდეგი დასახელების ნივთებითა და ჰიგიენური საშუალებებით: ხელის საპონი (100გრ), კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი, პირსახოცი, ზეწარი, ბალიში, ბალიშის პირი, ლეიბი, პლედი, კოვზი, ჩანგალი, ღრმა თეფში, ღრმა ჯამი, კათხა - ერთი ერთეული. ***ყოველთვიურად მიეწოდებათ სამეურნეო საპონი (200 გრ.) და სარეცხნი ფხვნილი (0.270-0.400გრ-მდე).*** ასევე, პერიოდულად, საჭიროებისამებრ და მათი მოთხოვნის საფუძველზე ინდივიდუალურად ეძლევათ ზემოაღნიშნული დასახელების ნივთები და ჰიგიენური საშუალებები".

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულების ოფიციალური ინფორმაციით, 2015 წლის იანვრიდან დღემდე ყოველთვიურად ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეწოდა:

- სარეცხი ფხვნილი 450 გრამი;
- კბილის პასტა - 1 ცალი;
- ტუალეტის ქაღალდი - 1 ცალი;
- ხელის საპონი (100 გრამი) – 1 ცალი;
- სამეურნეო საპონი (200 გრამი) – 1 ცალი;
- კბილის ჯაგრისი - 1 ცალი (იანვრისა და აპრილის თვეში).

ადმინისტრაცია ვალდებულია თავად მიაწოდოს ელემენტარული ჰიგიენური დაცვის საშუალებები პატიმრებს გონივრული რაოდენობით. თვეში ერთი ცალი საპონი და ერთი ცალი ტუალეტის ქაღალდი არ წარმოადგენს გონივრულ რაოდენობას და ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ელემენტარულ ჰიგიენურ საჭიროებებს.

N5 დაწესებულებაში პრობლემებია წყლის მიწოდების კუთხითაც. პატიმარ ქალებს შხაპით სარგებლობის უფლება აქვთ 10:00 საათიდან 20:00 საათამდე. საკნებში კი არ მიეწოდებათ თბილი წყალი. თბილი წყლის საკანში მიწოდება აუცილებელია,

[22] წესი 5;
http://www.penalreform.org/wpcontent/uploads/2013/06/United_Nations_Rules_for_the_Treatment_of_Women_Prisoners_and_Non-custodial_Measures_for_Women_Offenders_the_Bangkok_Rules.pdf

რადგანაც მსჯავრდებულებს ხშირად საკანში უწევთ ჭურჭლისა და ტანსაცმლის რეცხვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს, უზრუნველყოს ჰიგიენური საფენებისა და სხვა ჰიგიენური საშუალებების სათანადო რაოდენობით მიწოდება ქალი პატიმრებისათვის, ასევე თბილი წყლის რეგულარული მიწოდება საკნებში.

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს სუსტი სავენტილაციო სისტემა, რის გამოც, ზაფხულის პერიოდში საცხოვრებელ საკნებში შემაწუხებელი სიცხეა. მსჯავრდებულთა ინფორმაციით, ზაფხულის პერიოდში, 20:00 საათიდან 10:00 საათამდე საცხოვრებელი საკნები ჩაკეტილია. ორმაგი გისოსების გამო კი მსჯავრდებულები განიცდიან ჰაერის უკმარისობას.

N5 დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებში ფუნქციონირებს საერთო სარგებლობის სახშაპე ოთახები. დაწესებულების A, B და C კორპუსების აბაზანებში პრობლემას წარმოადგენს საკანალიზაციო სისტემის გაუმართავი მუშაობა, რის გამოც, აბაზანებში მოხმარებული წყალი სრულად არ გადის საკანალიზაციო სისტემაში და გუბდება სააბაზანო ოთახებში. ამის შესახებ აღნიშნულია ასევე სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში[23]. აბაზანებში პრობლემას წარმოადგენს ასევე გაუმართავი სავენტილაციო სისტემა. აბაზანების კედლები დაჟანგულია, მოძველებულია იატაკიც.

N5 დაწესებულების აბაზანებში აუცილებელია განხორციელდეს შესაბამისი სარემონტო სამუშაოები, მოწესრიგდეს საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემები, გარემონტდეს აბაზანის კედლები და იატაკი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა მოინახულეს N5 დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზია. მონიტორების დაკვირვებით, მაღაზიაში არ იყო განთავსებული ხილი და ბოსტნეული. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს, უზრუნველყოს ბოსტნეულისა და ხილის გაყიდვა N5 დაწესებულების მაღაზიაში.

დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ საკვებთან დაკავშირებით პატიმრების მხრიდან პრეტენზიები არ დაფიქსირებულა.

[23] გვ. 83; http://ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf

ჯანდაცვა

ქალი პატიმრების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გეგმიური სამედიცინო რეფერალის ერთიანი ელექტრონული რიგი, რომელიც საერთოა როგორც ქალი, ასევე მამაკაცი პატიმრებისათვის. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55 ბრძანების თანახმად, პაციენტის სამკურნალო დაწესებულებასა და სარეაბილიტაციო ცენტრში გადაყვანის შესახებ რეკომენდაციას იღებს სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი დაწესებულების ექიმის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ პაციენტს ესაჭიროება გეგმური სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო პროგრამაში ენიჭება რიგითი ნომერი და მისი სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გადაყვანის შესახებ რეკომენდაცია, გადაყვანამდე არანაკლებ ერთი დღით ადრე, ეგზავნება დაწესებულების დირექტორსა და მთავარ ექიმს. სამედიცინო დეპარტამენტი რიგითობას განსაზღვრავს ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების შესაბამისად[24]. რეფერირების წესი მოქმედებს, როცა სახეზე არ არის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროება[25].

რეფერალის სისტემის სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხვედველობაში არ მიიღება პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებები. გეგმიური რეფერირების წესი არ ითვალისწინებს რიგის მომლოდინე პაციენტის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევას. ამ დროს პაციენტი იძულებულია სამედიცინო მომსახურებისათვის დაელოდოს თავის რიგს, თუ სახეზე არ იქნა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროება. რიგისათვის ლოდინი ზოგჯერ თვეების განმავლობაში გრძელდება. მონიტორინგის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ არაერთ ქალ პატიმარს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სწორედ არადროული სამედიცინო მომსახურების გამო.

აღნიშნული პრობლემა არის საგანგაშო. ***აუცილებელია ელექტრონული რიგის მინიჭებისას გათვალისწინებული იყოს პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებები. დაავადების მიმდინარეობის გათვალისწინებით, კონკრეტული პატიმრის საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში, დაინერგოს მაქსიმალურად***

[24] http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14188963061.pdf

[25] *იგივე*

ინდივიდუალური მიდგომა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში პატიმრებს რიგგარეშედ უნდა გაეწიოთ სამედიცინო მომსახურება.

აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს ასევე სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში: *„გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი დაავადება სწრაფად ვითარდება, ხოლო სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება შეიძლება დაგვიანებული იყოს. სამედიცინო რეფერალის განხორციელების წესი არ ითვალისწინებს ასეთი დაავადებით დაავადებული პაციენტს რიგითობის განსაზღვრისას უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას“*[26].

სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში სამედიცინო რეფერალთან დაკავშირებით გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში ამ პატიმარის გადაყვანა უნდა განხორციელდეს რიგგარეშედ [27] . აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ ასახულა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55 ბრძანებაში, რის გამოც, 2014 წელს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მოეხდინა აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირება[28].

სწორედ ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის არარსებობის შედეგია მსჯავრდებულ ი.წ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე გაუარესება N5 დაწესებულებაში (მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია საჯაროვდება მისი თანხმობით). მსჯავრდებულის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს. მსჯავრდებულმა საკუთარი ხარჯებით ჩაიტარა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლაიშვილთან. ექსპერტიზა 14 თვე მიმდინარეობდა (2013 წლის 21 სექტემბრიდან 2014 წლის 25 დეკემბრამდე). დასკვნის მიხედვით, მისი დაავადებები პროგრესირებს. თუკი 2013 წლის აპრილში გამოხატული იყო მხოლოდ ორკარედი სარქველის ნაკლოვანება, 1,5 წლის შემდეგ, 2014 წლის ოქტომბერში უკვე გამოხატულია ორკარედი, სამკარედი და ფილტვის არტერიის სარქველების უკმარისობა. ***ექსპერტის დასკვნით, დაავადების ასეთი სწრაფი პროგრესირება სრულმასშტაბიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის არარსებობის ფონზე, მსჯავრდებულ ი.წ.-ს ართმევს ჯანმრთელობის არსებითი გაუმჯობესების შანსს. შესაბამისად,***

[26] გვ. 130; http://ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf
[27] გვ. 74; http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf
[28] გვ. 131; http://ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება მის სიცოცხლეს[29].

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „ბოლო ერთი წლის მანძილზე უკვე გამოიხატა სარქველების მნიშვნელოვანი უკმარისობა, პულმონური ჰიპერთენზია, ქვედა კიდურების შეშუპება, ლიმფოსტაზი. ი.წ.-ის ძირითად დაავადებას ართულებს რეინოს დაავადება, რომელიც ავადმყოფს განუვითარდა სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსების შემდეგ. რეინოს სინდრომი სისხლძარღვების სპაზმით მიმდინარე დაავადებაა. ი.წ-ს აღენიშნება კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები, ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებები, თირკმელების დაავადებები, ნერვული დაავადებები“[30].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2015 წლის მაისში მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას ი.წ.-ის დარჩენილი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების თხოვნით. კომისიას ორგანიზაციისათვის დღემდე არ უპასუხნია. მუდმივმოქმედ კომისიას ი.წ.-მ 2013 წელსაც მიმართა, მაგრამ გათავისუფლებაზე უარი მიიღო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია სასჯელისაგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-6/ნ ბრძანება განსაზღვრავს იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ი.წ-ის დიაგნოზი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გათავისუფლების საფუძველი, თუ იგი რეზისტენტულია სრულფასოვანი მკურნალობის მიმართ. თუმცა, ამის დადგენა ი.წ.-ის შემთხვევაში საპატიმროში ყოფნის პირობებში შეუძლებელია, რადგანაც იგი 2 წელია მოკლებულია სრულფასოვან მკურნალობას, რის გამოც მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ასევე იურიდიული დახმარება გაუწია პატიმარ გ.კ-ს, რომელმაც სასჯელის მოხდის პერიოდში შეიძინა მძიმე დაავადებები - ქრონიკული გ.ი.დ. არტერიული ჰიპერტენზია II GNC7, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, სუბკონპენსაცია,

[29] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18359&lang=geo

[30] *იგივე*

სახის ნერვის პერიფერიული პარეზი მარჯვნივ, დიაბეტური ენცეფალოპათია, ორმხრივი სენსონერვრარული ხასიათის I-IV ხარისხის სმენის დაქვვეითება, ჰერპესი. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, გ.კ. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ხანდაზმული ქალი პატიმრების გათავისუფლების საკითხი. ადამიანის უფლებათა ცენტრმა იურიდიული დახმარება გაუწია N5 დაწესებულებაში მოთავსებულ ორ ხანდაზმულ პატიმარ ქალს (თ.ჯ. და ვ.ბ.), რომელთა ასაკია 66 და 71 წელი. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პატიმარი აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი N/181/N01-72/ნ კომისიის მე-4 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს, მოხდილი აქვთ სასჯელის ნახევარზე მეტი და მიღწეული აქვთ კანონით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ასაკს. ორივე პატიმარის ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულებულია ხანდაზმულობის ასაკის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანს ადმინისტრაცია ახასიათებს დადებითად, რის შესახებაც გაცემულია ასევე შესაბამისი ცნობები. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ორივე პატიმარს უარი უთხრა გათავისუფლებაზე, კონკრეტული მიზეზის მითითების გარეშე.

ჯანმრთელობის დაცვის კუთხით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბრენდული მედიკამენტების ჩანაცვლება ე.წ. გენერიკ-მედიკამენტებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოკითხული პატიმრების უმრავლესობა მიუთითებს, რომ ექიმის მიერ გამოწერილი ბრენდული მედიკამენტების სანაცვლოდ მათ მიეწოდებათ ე.წ. გენერიკ-მედიკამენტები, რომლებიც, მათი თქმით, უხარისხოა და არ აქვს შედეგი.

საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდება პენიტენციური ჯანდაცვის ბაზისური ნუსხის ფარგლებში[31]. გენერიკ-მედიკამენტების პატიმართათვის მიწოდება სწორედ აღნიშნული ნუსხით არის გათვალისწინებული.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი (ე.წ. გენერიკ მედიკამენტი) წარმოადგენს საერთაშორისო არაპატენტირებულ კვლავწარმოებულ ფარმაცევტულ პროდუქტს. გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიყენება პატენტირებული (ორიგინალური) მედიკამენტების შემცვლელად, რაც გულისხმობს, რომ ამ პროდუქტის მიღებით მიღწეულ უნდა იქნას იგივე ეფექტი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, გენერიკულია მედიკამენტი, რომელიც განკუთვნილია ინოვაციური სამკურნალო მედიკამენტის შესაძლო შემცვლელად,

[31] http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14212141960.pdf

იწარმოება ინოვაციური მედიკამენტის მწარმოებლის ლიცენზიის გარეშე და ფარმაცევტულ ბაზარზე გამოდის პატენტის ან რაიმე სხვა ექსკლუზიური უფლებების ვადის გასვლის შემდეგ[32].

2013 წლის სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, „გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი, ისევე როგორც ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტი, შეიცავს აქტიურ ნივთიერებას და შემავსებელს. ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული აბიდან ან კაფსულიდან, თუ როგორ, რამდენი და რა სიჩქარით გამოთავისუფლდება აქტიური ნივთიერება, რაც შესაბამისად აისახება მედიკამენტის ეფექტზე. შემავსებელში ან აბის გარსში შემავალ ნივთიერებებში მცირედმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მედიკამენტის ხარისხი. თუ ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის შემავსებელი ერთია, ხოლო გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტის - მეორე, დაირღვევა ამ ორი პროდუქტის თერაპიული ეკვივალენტობა, ანუ სახეზე იქნება სხვადასხვა თერაპიული ეფექტი“ [33] . სახალხო დამცველის რეკომენდაციით, თერაპიული ეფექტთან დაკავშირებით პატიმართა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოხდეს გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტის კლინიკური კვლევა მისი თერაპიული ეკვივალენტობის დადგენის მიზნით. იგივე პრობლემაზე საუბრობს სახალხო დამცველი 2015 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ ანგარიშში და მოუწოდებს სამინისტროს, უზრუნველყოს ქალი პატიმრებისათვის ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიწოდება[34].

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თამთა დემურიშვილმა განაცხადა: „ყველა წამალს, რომელიც მიეწოდებათ პაციენტებს, მინიჭებული აქვთ სახელმწიფოში რეგისტრაციის ნომერი, შესაბამისად მათ ხარისხზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს და აღნიშნული სცდება სამედიცინო დეპარტამენტის კომპეტენციას“.

მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი, რომ N5 დაწესებულებაში არ არსებობს აფთიაქი, სადაც პატიმრებს შესაძლებლობა ექნებოდათ, შეეძინათ ექიმის მიერ დანიშნული ბრენდული მედიკამენტები. მედიკამენტების ოჯახის წევრებისაგან/ახლობლებისაგან ამანათით მიღება კი არ არის დარეგულირებული შესაბამისი ნორმატიული აქტით. შესაბამისად, პატიმრები იძულებულები არიან მიიღონ სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მიწოდებული გენერიკ-მედიკამენტები, რომელთა ხარისხთან დაკავშირებით მათი უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოხატავს.

[32] http://www.who.int/trade/glossary/story034/en/
[33] გვ. 69; http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf
[34] http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2650.pdf

N5 დაწესებულების მთავარი ექიმის ინფორმაციით, როცა პაციენტი უარს ამბობს გენერიკ-მედიკამენტზე და ითხოვს ექიმის მიერ დანიშნული ბრენდული მედიკამენტის მიწოდებას, სამინისტრო აცხადებს ტენდერს, რის გამოც, წამლების მიწოდება პაციენტისათვის გვიანდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება განახორციელეს მონიტორინგის ფარგლებში. დაწესებულების მთავარი ექიმის ინფორმაციით, მას ერთ წელზე მეტია აკრძალული აქვს ინტერნეტით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ითხოვს სამედიცინო რეფერალს. საქალაქო ტელეფონით სარგებლობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს ან ციხის ადმინისტრაციას უკავშირდება. მთავარი ექიმის ინფორმაციით, ამის გამო მას პრობლემა ექმნება სამოქალაქო პროფილის საავადმყოფოებთან ურთიერთობისას.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ გამოკითხულ პატიმართა ნაწილი არ იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ უფლება აქვთ მოითხოვონ სამოქალაქო პროფილის საავადმყოფოში გადაყვანა საკუთარი ხარჯებით.

არასრულწლოვანი ქალი პატიმრები

მონიტორინგის განმავლობაში სასჯელაღსრულების #5 დაწესებულებაში სხვადასხვა დროს იმყოფებოდა ორი არასრულწლოვანი პატიმარი. მართალია, მათ არ დაუფიქსირებიათ პრობლემები ჩვენთან საუბრისას, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ რომ არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ შეიმჩნეოდა გადამეტებული ყურადღება და მზრუნველობა სხვა პატიმრების მხრიდან, რაც, ჩვენი დაკვირვებით, რიგ შემთხვევებში, იწვევდა არასრულწლოვანი პატიმრების გაღიზიანებას.

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, რომელიც, ერთ-ერთ სახელმძღვანელო საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს პატიმრების მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით[35], არასრულწლოვანი პატიმრები განთავსებული უნდა იქნან სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით[36].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს, უზრუნველყოს არასრულწლოვანი ქალი პატიმრების განცალკევებით განთავსება სრულწლოვანი პატიმრებისაგან.

[35] http://www.mcla.gov.ge/ka/InternationalActs

[36] წესი 8, ნაწილი „ე“; http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182885782.pdf

სოციალურ-კულტურული საკითხები

მისასალმებელია, რომ რუსთავის N5 დაწესებულებაში ხშირად ტარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები[37] , მათ შორის, სპექტაკლები და პოეზიის საღამოები, რასაც დადებითად აფასებენ პატიმრები. მონიტორინგის განმავლობაში, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა სპექტაკლის რეპეტიციები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, პატიმარი ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი რეპეტიციების პროცესში და კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სპექტაკლში მონაწილეობასთან დაკავშირებით[38].

დაწესებულებაში ფუნქციონირებს მაღალ დონეზე აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, არის კეთილმოწყობილი, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი, ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული მხატვრული, ისტორიული და სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურით დაკომპლექტებული.

დადებითად უნდა შეფასდეს პატიმართა დასაქმების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების #5 დაწესებულებაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებთან საუბრისას დაწესებულებაში დასაქმებულმა პატიმრებმა კმაყოფილება გამოთქვეს დასაქმების პირობებთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხულია 17 მსჯავრდებული, რომლებიც დაწესებულებაში ასრულებენ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებს, რაც მოიცავს დაწესებულების ტერიტორიის და საცხოვრებელი კორპუსების დასუფთავება/დალაგებას, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი თეთრეულის რეცხვას და მათთვის შესაბამისი კვების პროდუქტების მიტანა/დარიგებას. დასაქმებულ მსჯავრდებულთა სამუშაო განაკვეთი შეადგენს 8 საათს. დასაქმებულ მსჯავრდებულთა შესვენების დრო განისაზღვრება დღის განმავლობაში სამუშაო ხასიათიდან გამომდინარე მცოცავი გრაფიკით. სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხული მსჯავრდებულებისაგან დგება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს სამუშაო ჯგუფის უფროსი და სამუშაო ჯგუფის უფროსის მოადგილე. სამუშაო ჯგუფის უფროსის ანაზღაურება წარმოადგენს თვეში 250 ლარს, უფროსის მოადგილის - 225 ლარს, ჯგუფის წევრის - 200 ლარს[39].

[37] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18273&lang=geo
[38] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18273&lang=geo
[39] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2591679

უცხოელი პატიმრები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები ინდივიდუალურად ესაუბრნენ N5 დაწესებულებაში მოთავსებულ არაერთ უცხოელ პატიმარს (მათ შორის, რუსულ და ინგლისურენოვან პატიმრებს). უცხოელ პატიმართა უმრავლესობის განცხადებით, მათთვის დაკავების მომენტში გასაგებ ენაზე არ განუმარტავთ დაკავების მიზეზები და მათი უფლებები. ასევე, უცხოელი პატიმრების ინფორმაციით, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს არაკვალიფიციური თარჯიმნით უზრუნველყოფა სასამართლო პროცესში, იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახურის ადვოკატის მომსახურებისას. ამის გამო, მათი უმრავლესობა ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება მათ საქმეში მიმდინარე სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით.

უცხოელი პატიმრების ინფორმაციით, რუსული და ინგლისური ენების კვალიფიციურად ცოდნა პრობლემას წარმოადგენს ასევე N5 დაწესებულების სოციალური სამსახურისათვის, რის გამოც, ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას, ისარგებლონ სოციალური მუშაკის დახმარებით და განცხადებით მიმართონ სასამართლოს, პროკურატურას თუ სასჯელაღსრულების სამინისტროს.

სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლება მოიცავს ბრალდებულის უფლებას, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი. აღნიშნული უფლება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით. ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებას გამოხატავს, რომ N5 დაწესებულებაში მოთავსებული უცხოელი პატიმრების უმრავლესობა, არაკვალიფიციური თარჯმინით უზრუნველყოფის გამო, ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება მათ საქმეში მიმდინარე სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. ასევე, შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ უცხო ენის არასათანადოდ ცოდნის გამო N5 დაწესებულების სოციალური სამსახური სათანადო მომსახურებას ვერ უწევს უცხოელ პატიმრებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს იუსტიციის სამინისტროს, კვალიფიციური თარჯიმნით უზრუნველყოს უცხოელი პატიმრები მათ საქმეში მიმდინარე სასამართლო პროცესებში; სასჯელაღსრულების სამინისტროს, უცხო ენების მცოდნე თანამშრომლებით დააკომპლექტოს N5 დაწესებულების სოციალური სამსახური.

N5 დაწესებულებაში განთავსებული რუსულენოვანი პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ რუსულენოვანი ტელეარხების სიმწირესთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად დაწესებულებაში იგეგმება სატელევიზიო არხების რაოდენობის გაზრდა.

უმცირესობები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ გამოკითხული პატიმრების დიდი ნაწილის ინფორმაციით, N5 დაწესებულებაში ადგილი არ აქვს სექსუალური, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით პატიმართა დისკრიმინაციას. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააფიქსირა ცალკეული შემთხვევები, როცა რამდენიმე პატიმარი უჩიოდა შევიწროებას იმ თანამოსაკნე პატიმრების მხრიდან, რომლებიც მისდევდნენ მართლმადიდებლურ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. კერძოდ, მომჩივანი პატიმრების ინფორმაციით, შევიწროება გამოიხატებოდა მოწოდებებში, მათაც შეესრულებინათ რელიგიური წეს-ჩვეულებები, რაც, მათი თქმით, იწვევდა მათ დისკომფორტს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, მომჩივანი პატიმრები ციხის ადმინისტრაციამ სხვა საკნებში გადაიყვანა.

უნდა აღინიშნოს, რომ, იმ პირობებში, როცა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის თემა ტაბუირებულია საქართველოს საზოგადოებაში, ციხის ჩაკეტილ სივრცეში ამ თემასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის მიღება საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და მომზადების მქონე სპეციალისტების ინდივიდუალურ მუშაობას პატიმრებთან. ***ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციით, საჭიროა N5 დაწესებულებაში ამ მიმართულებით არსებობდეს სპეციალისტები, რომლებიც ინდივიდუალურად იმუშავებენ უმცირესობების წარმომადგენელ პატიმრებთან მათი საჭიროებების/პრობლემების გამოსავლენად.***

მეძუძური დედები და შვილიანი მსჯავრდებულები

N5 დაწესებულებაში ფუნქციონირებს დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი განყოფილება, სადაც არის 12 ოთახი და 1 ბავშვთა საერთო გასართობი ოთახი. 2015 წლის მაისის თვეში დედათა და ბავშვთა განყოფილებაში განთავსებული იყო 6 მსჯავრდებული (მათ შორის ერთი ორსული). ბავშვები, რომლებიც მსჯავრდებულ დედებთან იმყოფებიან, არიან 0-დან 3 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, „ბავშვთა კვების რაციონი შედგება „ჰუმანას“ ფირმის რძისა და ფაფებისაგან, ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით (PRE, N1, N2, N3). ამასთანავე, მსჯავრდებულ დედებს ეძლევათ საკვები პროდუქტები მოსამზადებელი სახით: ქათმის ხორცი, თევზი, ფარში, ვაშლი, ბოსტნეული, ბურღულეული, შაქარი, ზეთი რძის პროდუქტები (კვირაში 1 ლ. რძე, 570 გ. ხაჭო, 700 გ. არაჟანი, 700 გ. მაწონი, 300 გ. კარაქი)“.

დედათა და ბავშვთა საცხოვრებელ განყოფილებაში განთავსებული მსჯავრდებულების ინფორმაციით, დაწესებულებისაგან მიწოდებული პროდუქტი არ არის საკმარისი ბავშვებისათვის. დედათა და ბავშვთა განყოფილების

მსჯავრდებულები ითხოვენ ადგილობრივი მაღაზიის მომარაგებას ბავშვებისათვის საჭირო საკვებით, მათ შორის, ხილ-ბოსტნეულით, ასევე, ბავშვებისათვის განკუთვნილი დასაშვები ამანათების რაოდენობის გაზრდას.

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი სხვა პრობლემები

2015 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში - „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“. სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის ძველი რედაქციით, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ერთგვაროვანი პასუხისმგებლობით - თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა. ცვლილებების თანახმად, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა პასუხისმგებლობები ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისა და შეძენა/შენახვისთვის. ახალი რედაქციით, ნარკოტიკული საშუალების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნისთვის პასუხისმგებლობა 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა იქნება, ხოლო გასაღებისთვის - 6-დან 11 წლამდე[40]. აღნიშნული ცვლილებები წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის კუთხით, თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემები კვლავ მოუგვარებელი რჩება.

ცვლილებები არ შეჰხებია სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლს - “საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა”. აღნიშნული მუხლი არ გამიჯნავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებისა და შეძენა/შენახვის მიზნებს და ერთგვაროვან სანქციას ითვალისწინებს ორივე შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ცენტრი იურიდიულ დახმარებას უწევს არაერთ პატიმარ ქალს, რომლებსაც არაადეკვატურად მაღალი სასჯელები აქვთ შეფარდებული სწორედ აღნიშნული მუხლის საფუძველზე 2006-2012 წლებში. ევროკავშირის მისიის მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების თანახმად, ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით ფლობა უნდა გაემიჯნოს მის უკანონო გასაღებას[41]. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების გასაღება თავისი არსით უფრო მძიმე ქმედებაა და მას საზოგადოებრივი საშიშროების გაცილებით მაღალი ხარისხი ახასიათებს. სწორედ აღნიშნული რეკომენდაცია დაედო საფუძვლად ზემოაღნიშნული 260-ე მუხლის ცვლილებას.

[40] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2909639
[41] file:///C:/Users/user/Downloads/file-20042015.pdf

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, ცვლილებები შევიდეს სსკ-ის 262 მუხლში - პირადი მოხმარების მიზნით ფლობა გაემიჯნოს მის უკანონო გასაღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან შეიმჩნევა უფრო ლიბერალური მიდგომა ნარკოდანაშაულთან მიმართებით - სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ ქალებს გაცილებით ნაკლები სასჯელები აქვთ შეფარდებული, ვიდრე 2006-2012 წლებში იგივე დანაშაულებისათვის მსჯავრდებულებს. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2015 წლის 11 მაისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2006–2015 წლებში სსკ–ის 260–ე და 262–ე მუხლებით მსჯავრდებული ქალების რაოდენობისა და თავისუფლების აღკვეთის ვადების შესახებ. სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2006–2012 წლებში, ქალ მსჯავრდებულებს სსკ–ის 260-ე და 262–ე მუხლების საფუძველზე მისჯილი ჰქონდათ არაადეკვატურად მაღალი სასჯელები (20–30 წლით, ზოგჯერ კი - უვადოდ თავისუფლების აღკვეთა), მაშინ, როცა 2013 წლიდან ამავე მუხლებზე პირებს ძირითადად 2–3 წლით (იშვიათად - 5-8 წლით) თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი. ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება და მიმართა პარლამენტს იმ მსჯავრდებულების ამნისტიის შესახებ, რომელთაც 2006–2012 წლებში მიესაჯათ არაადეკვატურად მაღალი სასჯელები სსკ-ის 262-ე მუხლის საფუძველზე[42].

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულება

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგის პერიოდში 4 ვიზიტი განახორციელა არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. მონიტორინგის პერიოდში არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული იყო 44 არასრულწლოვანი პატიმარი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა მრავლად დააფიქსირეს ისეთი შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი პატიმრები ასოციალურად იყვნენ განწყობილნი, უჭირდათ ციხეში არსებულ პირობებთან/პრობლემებთან დაკავშირებით საუბარი, არ გამოხატავდნენ ინტერესს დაწესებულებაში მიმდინარე სოციალური/კულტურული აქტივობების მიმართ. არასრულწლოვანი პატიმრების

[42] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18364&lang=geo

ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა უფრო ინტენსიური მუშაობა ადმინისტრაციის ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობით. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ამჟამად მხოლოდ 2 ფსიქოლოგი მუშაობს, რომელთაგან ერთი, ზაფხულის გარკვეულ პერიოდში შვებულებაში იმყოფებოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს, გაზარდოს არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე კვალიფიციური ფსიქოლოგების რაოდენობა.

საცხოვრებელი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები

N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არის 18 საცხოვრებელი საკანი. ყოველ საკანს აქვს ინდივიდუალური საპირფარეშო და შხაპი. საკნებში არასრულწლოვან პატიმრებს მიეწოდებათ ცხელი წყალი.

პრობლემას წარმოადგენს საკნებში არსებული ბეტონის იატაკი, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანი პატიმრების ჯანმრთელობაზე. პრობლემურია ასევე რკინის საწოლები, რომლებზეც, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ ერთი ლეიბია განთავსებული, რომელიც თხელია და უხარისხო, რაც დისკომფორტს უქმნის არასრულწლოვან პატიმრებს და სახიფათოა მათი ჯანმრთელობისათვის. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, ზოგიერთი არასრულწლოვანი პატიმარი სარგებლობდა რამდენიმე ლეიბით. მათი განცხადებით, ლეიბები მათ სხვა პატიმრებმა დაუტოვეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ლეიბების უკმარისობის პრობლემაზე მიუთითეს N11 სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციის. ადმინისტრაციის ინფორმაციით, არასრულწლოვანი პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იქნებოდა დამატებითი ლეიბები. თუმცა, საანგარიშო პერიოდის დასასრულს ამ მხრივ კვლავ არათანაბარი პირობები დაფიქსირდა. ხშირ შემთხვევებში, არასრულწლოვანი პატიმრების საწოლებზე კვლავ ერთი ლეიბია განთავსებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, უზრუნველყოს ხარისხიანი ლეიბების დამატება სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრებისათვის.

მსჯავრდებულთა ინფორმაციით, ჰიგიენური საშუალებები მიეწოდებათ დროულად და საკმარისი რაოდენობით. მათივე ინფორმაციით, არ აქვთ პრეტენზიები კვებასთან დაკავშირებით - მრავალფეროვანია საკვები რაციონი, მიეწოდებათ საკმარისი ულუფა როგორც წვნიანი, ასევე მშრალი სახის საკვები.

მოპყრობა

არასრულწლოვანი პატიმრების ინფორმაციით, დაწესებულებაში ადგილი არ აქვს არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ადმინისტრაციის მხრიდან თუ პატიმრებს შორის. პატიმრების ინფორმაციით, კონფლიქტებს პატიმრებს შორის არ აქვს ხშირი ხასიათი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა დააფიქსირეს შემთხვევები, როცა გარკვეული პატიმრები მბრძანებლური ტონით ესაუბრებოდნენ სხვა პატიმრებს, რომლებიც, თავის მხრივ, ემორჩილებოდნენ ასეთ მიმართვას. მსგავსი „ლიდერობით“ გამორჩეულ პატიმრებს წარმოადგენდნენ ის პატიმრები, რომლებიც სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით (მაგ. ჰქონდათ სხვებზე მეტი ლეიბი). დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა არასრულწლოვანთა შორის აღმოიფხვრას მსგავსი დამოკიდებულებები და პრივილეგიები.

მონიტორინგის პერიოდში N11 დაწესებულებაში დაფიქსირდა შემთხვევა, როცა რამდენიმე პატიმარი დროებით გადაიყვანეს ქუთაისის N2 დახურული ტიპის საპატიმრო დაწესებულებაში. პატიმრებისაგან მიღებული ინფორმაციით, მათი გადაყვანა სავარაუდოდ დაკავშირებული იყო N11 დაწესებულებაში სხვა პატიმრებთან მომხდარ კონფლიქტთან.

არასრულწლოვანი პატიმრის დახურული დაწესებულებაში გადაყვანას დასჯის თუ სხვა დისციპლინარული მიზნით არ ითვალისწინებს საქართველოს პატიმრობის კოდექსის 71[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის დისციპლინარული სახდელის სახეებს. შესაბამისად, არასრულწლოვანი პატიმრების ქუთაისის N2 დაწესებულებაში გადაყვანა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

N11 დაწესებულების ინფორმაციით, დაწესებულებაში გარემონტდა 4 საკანი (3 შვიდადგილიანი და 1 - სამადგილიანი), სადაც, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მომავალში მსჯავრდებულების იზოლირებულად გადაყვანა იქნება შესაძლებელი.

დადებითად უნდა შეფასდეს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ წახალისების საშუალებების ხშირი გამოყენება (მაგ. მადლობის გამოცხადება, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემნის დამატება) სხვადასხვა კულტურული და სასწავლო აქტივობების გამო, რის შესახებაც არასრულწლოვანმა პატიმრებმა განუცხადეს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს.

არასრულწლოვან პატიმართა განათლება

არასრულწლოვან პატიმართა განათლების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს დისტანციური სწავლების პროგრამები, რაც საშუალებას მისცემდა პატიმრებს უმაღლესი განათლება მიეღოთ სასჯელის მოხდის განმავლობაში. არსებობს შემთხვევები, როცა არასრულწლოვანმა პატიმრებმა ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ სწავლის გაგრძელების საშუალება არ მიეცათ, რადგანაც სრულწლოვნები გახდნენ და სასჯელის მოხდა განაგრძეს სრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც არ არსებობს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა.

არასრულწლოვანთა #11 სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც განთავსებულია ცალკე შენობაში და მიერთებულია თბილისის #123 საჯარო სკოლასთან. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მოინახულეს დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედი სკოლა, გაესაუბრნენ არასრულწლოვან პატიმრებსა და მათ მასწავლებლებს.

დადებით ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და მრავალფეროვანი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომლითაც ხშირად სარგებლობენ პატიმრები. ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის მარტის თვეში 305 წიგნი გაიცა არასრულწლოვან პატიმრებზე. მონიტორინგის განმავლობაში, არასრულწლოვანი პატიმრები ხშირად სტუმრობდნენ ბიბლიოთეკას და კმაყოფილებას გამოხატავდნენ ბიბლიოთეკის მომსახურებით. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ბიბლიოთეკაში ნაკლებად არის წიგნები სხვა ენებზე, მაგ. ბიბლიოთეკაში არ არის წიგნები აზერბაიჯანულ ენაზე, რაც შესაძლებლობას ართმევს დაწესებულებაში მოთავსებულ ეთნიკურად აზერბაიჯანელ პატიმრებს გაეცნონ სხვადასხვა ლიტერატურას თავიანთ ენაზე.

არასრულწლოვან პატიმართა განათლების კუთხით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლებს იშვიათად უტარდებათ სპეციალური ტრენინგები პატიმრებთან ურთიერთობის საკითხებზე, სწავლების მეთოდებზე, მიდგომებზე და სხვ.. როგორც მასწავლებლებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, მსგავსი ტრენინგი ერთხელ ჩაუტარდათ 4 თუ 5 წლის წინ. იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვან პატიმართა განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი რეინტეგრაციისათვის, აუცილებელია მასწავლებლები უზრუნველყოფილნი იყონ შესაბამისი გადამზადებითა და ტრენინგებით.

მასწავლებელთა ინფორმაციით, მსჯავრდებულებს აქვთ მოტივაცია, მიიღონ კარგი ნიშნები, რადგანაც, მათი შინაგანი რწმენით, კარგი აკადემიური მოსწრება დაეხმარებათ მათ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასა და შეწყალების მიღებაში. მოსწავლეთა გარკვეული აქტიურობა და სასწავლო პროცესში ჩართულობა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმაც დააფიქსირეს გაკვეთილებზე დასწრებისას.

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სკოლაში არ არსებობს ინდივიდუალური პროგრამა ეთნიკურად აზერბაიჯანელი პატიმრებისათვის, რომლებმაც არ იციან ქართული და რუსული ენები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება არასრულწლოვანი პატიმრების მასწავლებლებისათვის პატიმრებთან ურთიერთობის საკითხებზე, სწავლების მეთოდებზე, მიდგომებზე და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა ეთნიკურად აზერბაიჯანელი პატიმრებისათვის, რომლებმაც არ იციან ქართული და რუსული ენები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, უზრუნველყონ აზერბაიჯანულ ენაზე წიგნების განთავსება #11 სარეაბილიტაციო დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

სოციალურ-კულტურული საკითხები

არასრულწლოვანთა #11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არსებობს სხვადასხვა სახელოვნებო და სპორტული პროგრამები. დაწესებულებას აქვს ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, სადაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულები თამაშობენ რაგბს და ფეხბურთს. მსჯავრდებულები ფეხბურთსა და რაგბში ვარჯიშობენ კვირაში ორჯერ.

კვირაში სამჯერ არასრულწლოვან პატიმრებს უტარდებათ ხის ჭრის/კვეთის გაკვეთილები. მსჯავრდებულები აკეთებენ ჯვრებს და ეკლესიების მაკეტებს. ადმინისტრაციის ინფორმაციით, მინანქარზე მუშაობის წრის გახსნა იგეგმება სასკოლო არდადეგების დროს. დაწესებულებაში აქვთ ასევე მუსიკალური ინსტრუმენტები და პერიოდულად იწვევენ მუსიკოსებს, რომლებიც პატიმრებს ასწავლიან ინსტრუმენტებზე დაკვრას.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ასევე კომპიუტერის სწავლების ოთახი, სადაც არასრულწლოვანი პატიმრები ეუფლებიან კომპიუტერულ პროგრამებს. არასრულწლოვან პატიმრებს, ასევე, უფლება აქვთ ითამაშონ კომპიუტერული თამაშები.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ეზოში განთავსებულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ჯერჯერობით მოძღვარი არ ჰყავს. ადმინისტრაციის ინფორმაციით,

მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს საპატრიარქოსთან, რათა გამოიყოს მოძღვარი ეკლესიისათვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ გამოკითხული პატიმრების ნაწილი ჩართულია ზემოაღნიშნულ სხვადასხვა აქტივობებში.

ჯანდაცვა

არასრულწლოვანთა #11 სარეაბილიტაციო დაწესებულების სამედიცინო პერსონალისა და მსჯავრდებულთა ინფორმაციით, დაწესებულებაში მძიმედ დაავადებული მსჯავრდებულები არ იმყოფებიან. მათი ინფორმაციით, უმეტესად, მსჯავრდებულებს ექმნებათ ჯანმრთელობის პრობლემა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დროს მიღებული ტრამვების და ე.წ სვირინგის კუსტარულად ამოწვის გამო.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანი პატიმრები სამკურნალოდ გადაჰყავთ №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო პროფილის დაწესებულებაში.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების რეფერალთა ბაზა ფუნქციონირებს სრულწლოვანთა ბაზისაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, არასრულწლოვან პატიმრებს არ უწევთ ერთიან რიგში ლოდინი სამედიცინო მომსახურებისათვის.

დაწესებულების სამედიცინო პერსონალის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში არ იმყოფებოდა ფსიქიატრიული საჭიროების მქონე არასრულწლოვანი პატიმარი. სამედიცინო პერსონალის ინფორმაციით, მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოიყენება ე.წ. ანტიდეპრესანტები და ფსიქოტროპული მედიკამენტები; საჭიროების შემთხვევაში, ძირითადად, გამოიყენება მცენარეული სედატიური მედიკამენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა მრავლად დააფიქსირეს ისეთი შემთხვევები, როცა არასრულწლოვანი პატიმრები ასოციალურად იყვნენ განწყობილნი, უჭირდათ ციხეში არსებულ პირობებთან/პრობლემებთან დაკავშირებით საუბარი, არ გამოხატავდნენ ინტერესს დაწესებულებაში მიმდინარე სოციალური/კულტურული აქტივობების მიმართ. არასრულწლოვანი პატიმრების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა უფრო ინტენსიური მუშაობა ადმინისტრაციის ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობით. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ამჟამად მხოლოდ 2 ფსიქოლოგი მუშაობს, რომელთაგან ერთი, ზაფხულის გარკვეულ პერიოდში შვებულებაში იმყოფებოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს,

გაზარდოს არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე კვალიფიციური ფსიქოლოგების რაოდენობა.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებს დაწესებულებაში მყოფმა ფსიქოლოგმა განუმარტა, ფსიქოლოგები ახორციელებენ ინდივიდუალურ გასაუბრებებს ბავშვებთან, რათა კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე დაადგინონ, თუ რომელ სასწავლო/სახელოვნებო პროგრამაში ჩართონ ისინი. ***ფსიქოლოგის განმარტებით, დაწესებულებაში საჭიროა დამატებით ფსიქოლოგები, რათა სრულფასოვნად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები.***

გარე სამყაროსთან კონტაქტი

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, ვიდეოპაემნებითა და ტელეფონით სარგებლობის უფლება. დაწესებულებაში მდებარეობს ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილი ორი კეთილმოწყობილი ოთახი.

დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს იშვიათად ხვდებიან ოჯახის წევრები, გამომდინარე მათი მძიმე სოციალური მდგომარეობიდან, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ადმინისტრაციის ინფორმაციით, პატიმართა უმრავლესობა რეგიონებიდან არის, საიდანაც ჩამოსვლას ოჯახის წევრები ტრანსპორტირების ხარჯების უქონლობის გამო ხშირად ვერ ახერხებენ. აღნიშნულ მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი პაემნებისათვის დაწესებულია საფასური[43].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს, არასრულწლოვანი პატიმრებისათვის გაუქმდეს ხანგრძლივი და ვიდეოპაემნებისათვის დაწესებული გადასახადი.

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი სხვა პრობლემები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, არასრულწლოვანი პატიმრები, რომლებიც სასჯელს იხდიან სქესობრივი დანაშაულებისათვის, სოციალურ იზოლაციაში იმყოფებიან სხვა პატიმრებისაგან, რომლებსაც არ სურთ მათთან ურთიერთობა/მეგობრობა. აღნიშნული პრობლემის არსებობა დაადასტურა დაწესებულების დირექტორმაც.

[43] https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

არასრულწლოვანი პატიმრების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ, ხშირ შემთხვევებში, ისინი სასჯელს იხდიან განმეორებითი დანაშაულისათვის. აღნიშნული პრობლემა წარმოაჩენს რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციის სახელმწიფოს პროგრამების არასათანადო ეფექტურობას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მონიტორინგის ფარგლებში შეხვედრა გამართეს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს წარმომადგენლებთან. მათი ინფორმაციით, რესოციალიზაციის პროცესში არასრულწლოვან ბენეფიციართა ჩართულობის მხრივ პრობლემები არსებობს. ასაკის გათვალისწინებით, პროგრამაში ჩასართავად არასრულწლოვანს მშობლის ნებართვა სჭირდება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მშობლები, სხვადასხვა მიზეზით, უარს ამბობენ ნებართვის გაცემაზე[44].

„შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანი ბენეფიციარი არ გვყავს. ორი შემთხვევა გვქონდა, როცა ბენეფიციარებთან მუშაობა დავიწყეთ, ორ კვირაში კი მათ განმეორებითი დანაშაული ჩაიდინეს და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში შებრუნდნენ. სამი შემთხვევა გვქონდა, როდესაც მშობელმა ჩვენთან ურთიერთობა საჭიროდ არ ჩათვალა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ არასრულწლოვნებთან ბევრად ადრეა ჩვენი ჩართვა საჭირო“, - აცხადებს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს უფროსი, ნინო ბისეიშვილი[45].

დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები მსჯავრდებულებთან მუშაობას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე იწყებენ. ამ ეტაპზე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამისა და იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი სთავაზობს. სოციალური მუშაკი, შეფასების ფორმის გამოყენებით, ყოფილი მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას ახდენს და, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, სარეაბილიტაციო პროგრამებში რთავს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციით, სასურველია, რესოციალიზაციის პროგრამებისა და სერვისების შესახებ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს გათავისუფლებამდე გაცილებით უფრო ადრე მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია. სასურველია, საპატიმროში მოთავსების პერიოდიდანვე უზრუნველყოფილ იქნას რესოციალიზაციის პროგრამებისა და სერვისების შესახებ არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის ინფორმაციის მიწოდება. ინფორმაციის ადრე მიწოდება მსჯავრდებულებს საშუალებას მისცემს, უკეთ დაგეგმონ მომავალი და იფიქრონ რეაბილიტაციის გზებზე. ასევე, სასურველია სასჯელაღსრულების დაწესებულების

[44] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18260&lang=geo

[45] *იგივე*

შიგნით პერიოდულად გაიმართოს შეხვედრები დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლებსა და არასრულწლოვან პატიმრებს შორის იმ შესაძლო სამომავლო აქტივობებთან დაკავშირებით, რომლითაც დაინტერესებული არიან არასრულწლოვანი პატიმრები.

არასრულწლოვანი ბრალდებულები

ბრალდებული არასრულწლოვნები, რომელთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება სასამართლოს პირველ ინსტანციაში ჯერ არ დასრულებულა, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში არიან მოთავსებული. მათ შორის არიან ის არასრულწლოვნებიც, რომლებსაც სასამართლომ განაჩენი გამოუცხადა, მაგრამ ეს განაჩენი ოფიციალური დოკუმენტის სახით ჯერ არ მიუღიათ. 2015 წლის 14 ივლისს, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ვიზიტისას, არასრულწლოვანთა განყოფილებაში 11 პატიმარი იმყოფებოდა.

არასრულწლოვანი ბრალდებულების განყოფილება, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ ცალკე კორპუსის მეორე სართულზეა განთავსებული. მართალია, ამ განყოფილებაში განთავსებული არასრულწლოვნები სრულწლოვანი პატიმრებისგან იზოლირებულები არიან, მაგრამ სრულწლოვან ბრალდებულებთან შეხვედრა მათ მაინც უწევთ სასამართლოს პროცესებზე ბადრაგირებისას, რადგანაც, ასეთ შემთხვევებში, სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებას ერთი ავტომანქანა და ბადრაგი ემსახურება. ამ ავტომანქანაში არასრულწლოვანთათვის გამოყოფილია ვიწრო ადგილი, რომელიც იზოლირებულია დანარჩენი ფართო სივრცისაგან, სადაც სრულწლოვანი ბრალდებულები არიან მოთავსებული. ამგვარად, არასრულწლოვანი ბრალდებულების ეტაპირება სრულწლოვანებისგან შედარებით უარესი პირობებით ხდება. ბრალდებულებს აქვთ ერთმანეთთან საუბრის საშუალება, რაც არ არის რეკომენდებული, კრიმინალური სამყაროსგან მომდინარე სხვადასხვა რისკების გამო (მუქარა, გავლენა და ა.შ.).

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს, უზრუნველყოს არასრულწლოვანი ბრალდებულების ცალკე მანქანით ბადრაგირება №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაყვანისას;

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანი ბრალდებულების განყოფილების საკნები სუფთა მდგომარეობაშია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა საკანში მოინახულეს და გამოკითხეს ერთ-ერთი ბრალდებული, რომელიც სხვებისგან იზოლირებულად იყო

მოთავსებული. იგი იმყოფებოდა ადმინისტრაციის დაკვირვების ქვეშ. დაკვირვება ხორციელდებოდა ვიდეოთვალის დახმარებით. ადმინისტრაციის ინფორმაციით, სხვა ბრალდებულებისგან იზოლირებისა და დაკვირვების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არასრულწლოვნის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რადგან ბრალდებულს მიდრეკილება ჰქონდა თვითდაზიანებისკენ და გაღიზიანებული იყო წინა დღეებში წაყენებული მძიმე ბრალდების გამო. ადმინისტრაციის ინფორმაციით, არასრულწლოვანი ინფორმირებული იყო დაკვირვების თაობაზე, გაიარა ფსიქიატრის კონსულტაცია და ისარგებლა განყოფილების ფსიქოლოგის დახმარებით; სპეციალისტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ საჭირო იყო სრულფასოვანი ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის ზუსტი დიაგნოსტირების მიზნით. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს, ამავე დროს, ესაჭიროებოდა ფსიქოთერაპია. თუმცა, განყოფილების ფსიქოლოგი იმ დროს იმყოფებოდა შვებულებაში.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, განყოფილებას სხვა ფსიქოლოგი არა ჰყავს, რის გამოც ფსიქოლოგის შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, განყოფილება სარგებლობს გლდანის №8 დაწესებულების საერთო ფსიქოლოგით. მსგავსი პრობლემა აქვს სოციალურ მუშაკს, რომელმაც განაცხადა, რომ რამდენიმე წელია, არ სარგებლობს შვებულებით, რადგან მის საქმეს სხვა ვერ შეითავსებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებისათვის გამოიყოს დამატებით ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი;

როგორც ადმინისტრაციის, ისე ბრალდებულების ინფორმაციით, არასრულწლოვანთა განყოფილებაში აღმოფხვრილია ქურდული სამყაროს გავლენა. თუმცა, ბრალდებულებს სხეულზე გაკეთებული აქვთ სვირინგები, მათ შორის - კრიმინალური სიმბოლოები. ერთ-ერთმა ბრალდებულმა განაცხადა, რომ სვირინგი გაიკეთა კუსტარულად ჩანგლისა და ნემსის გამოყენებით, რის გამოც მიიღო ადმინისტრაციული სახდელი. ბრალდებულთა სვირინგებში ქურდული სიმბოლოების გარდა, ფიგურირებს ფაშისტური სიმბოლო - სვასტიკა. ერთ-ერთმა ბრალდებულმა არ უპასუხა კითხვას, თუ რატომ გადაწყვიტა ამ სიმბოლოთი სხეულის ტატუირება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით ე. წ. ქურდული სამყაროს გავლენა ბრალდებულებზე ან მისდამი შიში მაინც იგრძნობა, რაც იკვეთება მათ მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივების ან პატიმრობასთან დაკავშირებული ისტორიების მოყოლისას. აქ მთელი სიმწვავით იკვეთება პრობლემა, როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს, ერთი მხრივ, მოზარდების განთავისუფლებას მავნე გავლენებისაგან და

მეორე მხრივ - განმეორებით ჩადენილ დანაშაულთა პრევენციას. არასრულწლოვან ბრალდებულთა შორის იმყოფებოდა 17 წლის პატიმარი, რომელსაც უკვე მეხუთედ მოუწია შეხება მართლმსაჯულებასთან.

მნიშვნელოვანია, ბრალდებულები აქტიურად იყვნენ ჩართული სწავლის პროცესში და სხვადასხვა აქტივობებში. სოციალური მუშაკის ინფორმაციით, სწავლა არის განყოფილების მთავარი პრიორიტეტი. მასწავლებელი, რომელიც კონკურსის წესით არის შერჩეული, მოდის 12 საათზე და დღის ბოლომდე ტარდება გაკვეთილები. ბრალდებულ არასრუწლოვნებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ კომპიუტერებით. პერიოდულად მონიტორით მათ უჩვენებენ სხვადასხვა მხატვრულ ფილმებს. ტარდება ხატვის გაკვეთილები.

სწავლის პარალელურად რაიმე ხელობის შესწავლა განყოფილებაში ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნები აქ მხოლოდ რამდენიმე თვით იმყოფებიან, სასურველია, შესაბამისი მოკლე პროგრამებით სხვადასხვა ხელობის (ხეზე კვეთა, თიხაზე მუშაობა და ა.შ.) შესწავლა მაინც ხდებოდეს, რასაც შრომითი და არტ-თერაპიის ფუნქციაც ექნება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში დაინერგოს სხვადასხვა სახელოვნებო/სასწავლო აქტივობები.

არასრულწლოვანი ბრალდებულები პირობებზე, კვებაზე და მოპყრობაზე არ ჩივიან. აცხადებენ, რომ ამ მხრივ, პრობლემა არა აქვთ. ზოგიერთმა განაცხადა დაკავებისას პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების თაობაზე.

პროექტის ფარგლებში გაწეული იურიდიული დახმარება

ქალი და არასრულწლოვანი პატიმრებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაწესებულებებში არ არსებობს იურისტი, რომელიც სამართლებრივ დახმარებას გაუწევდა მათ სხვადასხვა დოკუმენტების, საჩივრებისა და განცხადებების მომზადების პროცესში, ვადაზე ადრე გათავისუფლების, შეწყალების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფუნქცია შეთავსებული აქვთ დაწესებულების სოციალურ მუშაკებს, რომლებსაც არ აქვთ იურიდიული განათლება[46].

[46] დანართი 2 (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება), მუხლი 9; სასჯელაღსრულების მინისტრის N97 ბრძანება; http://www.mcla.gov.ge/public/files/pdf/text_14182884563.pdf

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს, დაამატოს იურისტის შტატი ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებებში, რომელიც მათ გაუწევს იურიდიულ დახმარებას/კონსულტაციას სხვადასხვა საჩივრების/მიმართვების მომზადებისას.

ქალთა საპატიმროებში მსგავსი იურიდიული დახმარების გაწევის განსაკუთრებული საჭიროებაა. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული დახმარების შედეგად, დადგა შემდეგი წარმატებული შედეგები:

- ადამიანის უფლებათა ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მსჯავრდებული ლ.რ. გათავისუფლდა პირობით ვადაზე ადრე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოსადმი მიმართვის შედეგად;
- ადამიანის უფლებათა ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე შეწყალების კომისიისა და პრეზიდენტის მიმართ, შეიწყალეს და სასჯელი გაუნახევრდა მსჯავრდებულ ლ.კ.-ს;
- ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, მსჯავრდებული ი.ა. რომელსაც ჰქონდა ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები გადაყვანილ იქნა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა მნიშვნელოვანი გამოკვლევები და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა;
- ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, მსჯავრდებულ თ.ჩ.-ს გამოუყვეს მოთხოვნილი სამედიცინო პრეპარატები;
- ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული დახმარებისა და სასამართლო წარმომადგენლობის შედეგად, არ დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა მსჯავრდებულ ხ.ლ.-თვის სასჯელის გაზრდის თაობაზე;
- ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შედეგად, გამოძიება დაიწყო მსჯავრდებულ ი.ნ.-ის წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე;
- მსჯავრდებულ ხ.ბ.-ის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-6 მუხლისა (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-13 მუხლის დარღვევის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) თაობაზე;
- მსჯავრდებულ ც.მ.-ის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-6 მუხლისა (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-13 მუხლის დარღვევის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) თაობაზე;
- მსჯავრდებულ ნ.ა.-ის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარსადგენად კონვენციის მე-6 მუხლისა (სამართლიანი სასამართლოს

უფლება) და მე-13 მუხლის დარღვევის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) თაობაზე;

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი სხვადასხვა უფლებადარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით აწარმოებს 25 საქმეს, რომლებზეც ელოდება შედეგებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა/იურისტებმა მონიტორინგის ფარგლებში გამოავლინეს არაერთი საქმე, რომელთა შესწავლის შედეგად იკვეთება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა და ჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი უკანონო/დაუსაბუთებელი განაჩენის მიღების თაობაზე. აღნიშნული საქმეების უმრავლესობა მიეკუთვნება 2006-2012 წლებში წარმოებულ საქმეებს. სამწუხაროდ, ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც გადასინჯავს აღნიშნულ საქმეებს და უფლების აღდგენის ეფექტურ გზას შესთავაზებს დაზარალებულებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრისა და უკანონო განაჩენების გადასინჯვის უზრუნველსაყოფად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც მონიტორინგის ფარგლებში გაწეული იურიდიული დახმარების შედეგად გამოვლინდა, არის დაუსაბუთებელი უარი იმ ქალი პატიმრების შეწყალებაზე, რომლებიც აკმაყოფილებენ შეწყალებისათვის განსაზღვრულ პირობებს, მოხდილი აქვთ კანონით განსაზღვრული სასჯელის შესაბამისი ვადა, ხასიათდებიან დადებითად სასჯელის მოხდის ადგილიდან, დაზარალებულების მხრიდან არ არის წინააღმდეგობა მათი შეწყალების თაობაზე და სხვ...

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტსა და შეწყალების კომისიას, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოიყენონ შეწყალების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სასჯელაღსრულების სამინისტროს:

- *აღმოფხვრას პატიმართა შემოწმების დამამცირებელი პრაქტიკა სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში;*
- *მინისტრს - ცვლილებები შეიტანოს 97-ე ბრძანებაში და შეუსაბამოს იგი პატიმართა მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებს.*

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს:

- *დაჩქარდეს ქალ პატიმართა ხანგრძლივი პაემნის უფლების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები განხორციელება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;*
- *სატელეფონო ჯიხურები განთავსდეს N5 დაწესებულების შიგნით; უზრუნველყოფილ იქნას სატელეფონო ჯიხურებისა და ბარათების გამართული მუშაობა;*
- *გონივრული რაოდენობით ჰიგიენური საშუალებები მიეწოდოს ქალ პატიმრებს;*
- *განხორციელდეს შესაბამისი სარემონტო სამუშაოები N5 დაწესებულების აბაზანებში, მოწესრიგდეს საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემები, გარემონტდეს აბაზანის კედლები და იატაკი; უზრუნველყოფილ იქნას თბილი წყლის მიწოდება ქალი პატიმრებისათვის საკნებში;*
- *აუცილებელია ელექტრონული რიგის მინიჭებისას გათვალისწინებული იყოს პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებები. დაავადების მიმდინარეობის გათვალისწინებით, კონკრეტული პატიმრის საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში, დაინერგოს მაქსიმალურად ინდივიდუალური მიდგომა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში პატიმრებს რიგგარეშედ უნდა გაეწიოთ სამედიცინო მომსახურება;*
- *უზრუნველყოფილ იქნას არასრულწლოვანი ქალი პატიმრების განცალკევებით განთავსება სრულწლოვანი პატიმრებისაგან;*
- *კვალიფიციური თარჯიმნით იქნას უზრუნველყოფილი უცხოელი პატიმრები მათ საქმეში მიმდინარე სასამართლო პროცესებში; უცხო ენების მცოდნე თანამშრომლებით დააკომპლექტდეს N5 დაწესებულების სოციალური სამსახური;*

- *N5 დაწესებულება დაკომპლექტდეს სპეციალისტებით, რომლებიც ინდივიდუალურად იმუშავებენ უმცირესობების წარმომადგენლებთან მათი საჭიროებების/პრობლემების გამოსავლენად;*
- *გაიზარდოს საკვები მარაგი N5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა საცხოვრებელ განყოფილებაში განთავსებული ბავშვებისათვის;*
- *არასრულწლოვანი პატიმრების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უზრუნველყოფილ იქნას უფრო ინტენსიური მუშაობა ადმინისტრაციის ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობით; გაზარდოს არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე კვალიფიციური ფსიქოლოგების რაოდენობა;*
- *არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღოს საჭირო ზომები, რათა არასრულწლოვანთა შორის აღმოიფხვრას მბრძანებლური დამოკიდებულებები და პრივილეგიები;*
- *არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში პატიმრებისათვის გამოიყოს დამატებით ლეიბები;*
- *საპატიმროში მოთავსების პერიოდიდანვე უზრუნველყოფილ იქნას რესოციალიზაციის პროგრამებისა და სერვისების შესახებ არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის ინფორმაციის მიწოდება; პერიოდულად გაიმართოს შეხვედრები დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლებსა და არასრულწლოვან პატიმრებს შორის იმ შესაძლო სამომავლო აქტივობებთან დაკავშირებით, რომლითაც დაინტერესებული არიან არასრულწლოვანი პატიმრები;*
- *არასრულწლოვანი პატიმრებისათვის გაუქმდეს ხანგრძლივი და ვიდეოპაემნებისათვის დაწესებული გადასახადი; შემცირდეს ქალი და მამაკაცი პატიმრებისათვის ვიდეოპაემნებისათვის დაწესებული გადასახადი;*
- *უზრუნველყოფილ იქნას არასრულწლოვანი ბრალდებულების ცალკე მანქანით გადრაგირება №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაყვანისას;*
- *გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებისათვის გამოიყოს დამატებით ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი;*

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს:

- *ცვლილებები შევიდეს სსკ-ის 262-ე მუხლში - ნარკოტიკული ნივთიერების პირადი მოხმარების მიზნით ფლობა გაემიჯნოს მის უკანონო გასაღებას.*

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს:

- *გათავისუფლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის 2006–2012 წლებში*

დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებული პირი, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ კვალიფიცირდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების გასაღების ნიშნით;

- 2006–2012 წლებში სსკ–ის 260–262–ე მუხლებით მეორედ და მეტჯერ ნასამართლევ პირებს დარჩენილი სასჯელი შეუმცირდეთ 1/4–ით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს:

- *უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება არასრულწლოვანი პატიმრების მასწავლებლებისათვის პატიმრებთან ურთიერთობის საკითხებზე, სწავლების მეთოდებზე, მიდგომებზე და ა.შ.*

- *შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა ეთნიკურად აზერბაიჯანელი პატიმრებისათვის, რომლებმაც არ იციან ქართული და რუსული ენები;*

- *უზრუნველყონ აზერბაიჯანულ ენაზე წიგნების განთავსება #11 სარეაბილიტაციო დაწესებულების ბიბლიოთეკაში.*

- გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში დანერგონ სხვადასხვა სახელოვნებო/სასწავლო აქტივობები.

დანართი

პროექტის ფარგლებში მომზადებული სტატიები/მედიაადვოკატირება

მონიტორინგის ფარგლებში, საზოგადოების დროული ინფორმირებისა და სხვადასხვა აქტუალური საკითხების ადვოკატირების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტი ამზადებდა სტატიებს, რომლებიც გამოქვეყნდა ორგანიზაციის ვებგვერდზე: www.humanrights.ge. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა 14 სტატია:

1. პატიმარ ქალთა მდგომარეობა საქართველოში[47]
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18194&lang=geo

2. არასრულწლოვნები სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18199&lang=geo

3. არასრულწლოვან პატიმართა განათლების პრობლემები
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18237&lang=geo

4. როგორ მიმდინარეობს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამები ყოფილი პატიმრებისთვის
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18260&lang=geo

5. კანონთან კონფლიქტში მყოფი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18271&lang=geo

6. „ჩემი ანგელოზები“ ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18273&lang=geo

7. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელი
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18312&lang=geo

8. პატიმარი ქალების ჯანდაცვის პრობლემები
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18310&lang=geo

9. ქალი პატიმრები ჩხრეკისას დამამცირებელ მოპყრობაზე ჩივიან და ხანგრძლივ პაემნებს ითხოვენ
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18339&lang=geo

---

[47] აღნიშნულმა სტატიამ პირველი ადგილი დაიკავა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის მიერ ჟურნალისტებისათვის გამოცხადებულ კონკურსში სისხლის სამართლის და სასჯელაღსრულების საკითხებზე საუკეთესო ტელე, რადიო, ინტერნეტ და საგაზეთო რეპორტაჟების/სტატიების შესარჩევად. კონკურსი ჩატარდა პროექტის - "სისხლის სამართლის რეფორმების ხელშეწყობა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით" - ფარგლებში.
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18409&lang=geo

10. მძიმედ დაავადებულ პატიმრებს კომისია არ ათავისუფლებს
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18359&lang=geo

11. არასრულწლოვან პატიმართა შეწყალება და რესოციალიზაციის პროგრამები
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18384&lang=geo

12. მსჯავრდებული ირმა ნადირაძე პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე საუბრობს
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18386&lang=geo

13. ადამიანის უფლებათა ცენტრი პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18394&lang=geo

14. ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით მსჯავრდებული პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18416&lang=geo

პროექტის ფარგლებში მომზადდა შემდეგი მიმართვები:

- ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა ქალ პატიმართა ერთი ნაწილის დისკრიმინაციული მდგომარეობის თაობაზე
  http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18352&lang=geo
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის განცხადებასთან დაკავშირებით
  http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18362&lang=geo
- ადამიანის უფლებათა ცენტრის საკანონმდებლო წინადადება სსკ–ის 262–ე მუხლით მსჯავრდებულთა ამნისტიის შესახებ
  http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18364&lang=geo
- ქალ პატიმართა დისკრიმინაცია
  http://hridc.tv/index.php?a=view&id=1078&lang=geo